*დანართი №6*

გამათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## (შპს აკადემოსის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მონიტორინგი)

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე :**

თეონა ყაჭეიშვილი

**წევრი :**

ნანა მონიავა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ყაჭეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. მონიავა

# ნაწილი I. შესავალი

*ადმინისტრაციული წარმოების სახე*

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | **აკადემოსი** |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **შპს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება)** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **ს/კ: 202061295** |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | **დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, გ. ტერევერკოს ქ.**, N24 |
| ფაქტობრივი მისამართი | **დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, გ. ტერევერკოს ქ.**, N24 |
| საფოსტო ინდექსი | 0159 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://akademos.ge/ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | skolaakademos@gmail.com |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 5 51 041177<br>5 51 109944 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი) | **სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 6 ივნისის №648950 ბრძანება, 2023 წლის 13 ივნისის 2023 წლის 6 ივნისის №648950 ბრძანების ცვლილება** |
| ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში) | **19 და 20 ივნისი, 2023 წელი** |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

| **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, |
|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |

**V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** *(ივსება* პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

| ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალი ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|

**VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა**

**ა.წ. 19, 20 ივნისს** ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს “აკადემოსში” სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 6 ივნისის №648950 ბრძანების , 2023 წლის 13 ივნისის 2023 წლის 6 ივნისის № 648950 ბრძანების ცვლილების საფუძველზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ვიზიტის მიზანი იყო:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „გ.გ“ და ,,გ.დ“ კომპონენტებისა და „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესრულების შემოწმება.
ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი.
2023 წლის 19 და 20 ივნისს ქ.თბილისში, ტერევერკოს ქ. N24 -ში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა განახორციელეს შპს “აკადემოსის” ბრძანებით გათვალისწინებული ინდიკატორების შეფასება დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, მოსწავლეთა მშობლებთან. დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რევიზირებული იქნა მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები.
ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები.
2023 წლის 20 ივნისს, ვიზიტის მეორე დღის ბოლოს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

## VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

| საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|
| 188 | 120 |

## VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ..., 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ...

სკოლას აქვს საერთაშორისო პროექტებსა და კონკურსებში მონაწილეობის მიღების მრავალწლიანი გამოცდილება. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ გაეროს მოდელირების საერთაშორისო კონფერენციაში. სკოლის ძლიერი მხარეა არაფორმალური განათლების განვითარება და პრაქტიკული განხორციელება.

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | **☒შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☒შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამებაივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამებაა |

**II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

| მოსწავლეთა რაოდენობა: -------------- | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ | **აღწერა**<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------------------

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)*[1]

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | - |

---

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ყუფუნიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. შონიავა

## VI. რჩევები

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 3.3.1.3* | სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; | სკოლაში სასურველია, არსებობდეს ცალკე დამოუკიდებელი ორგანო, სადაც მოხდება თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვა. |
| *ინდიკატორი 4.2.1.1* | სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; | დაწესებულების დირექციამ, სასურველია, უზრუნველყოს სკოლაში ძალადობის შემთხვევებისა და მის საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების წერილობითი აღრიცხვა ;<br>- უზრუნველყონ ძალადობასთან დაკავშირებით დიფერენცირებული სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება, მოსწავლეთა სპეციალური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | საგანმანათლებლო საჭიროებების, ძალადობის სახეების, სქესის და ასაკის გათვალისწინებით ; - შეიმუშაონ მოსწავლეთა ძალადობისგან დაცვის შიდა ინსტრუქცია. - უზრუნველყონ შინაგანაწესში მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან, ძალადობისგან და დისკრიმინაციისგან დაცვასთან დაკავშირებული საკითხების დეტალურად გაწერა. -განახორციელონ საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან შშმ ბავშვთა უფლებებთან, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვის საკითხებზე. მათ შორის, ძალადობის სახეებთან,მის შედეგებთან, ფსიქოლოგიური ინტერვენციის მნიშვნელობასა და პასუხისმგებლობის ფორმებთან დაკავშირებით . |
| ინდიკატორი 4. 2.3.2 | სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს | *სასურველია, სკოლამ* კონკურსის შედეგად აიყვანოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი - სპეციალური მასწავლებელი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ჯაჯანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. შონიავა

| | | |
|---|---|---|
| | | |

*VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი* *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

- დაწესებულებამ **3.3.1.3 ინდიკატორთან მიმართებით** -(სკოლაში არ არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.) შეიმუშავა და დაამტკიცა <u>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა</u>. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა და შეასრულა გეგმით გათვალისწინებულ შესაბამის პერიოდში შემდეგი ქმედება: სკოლის შინაგანაწესი დაზუსტდა და მუხლ 30-ს დაემატა პუნქტი 9 ,,სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.'', მუხლ 35-ს დაემატა პუნქტი 7 ,,სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.'' ; მუხლ 40-ს დაემატა პუნქტი 5 ,,სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მაკონტროლებელ ორგანოში ან/და სასამართლოში.'' და დაემატა პუნქტი 6 ,,სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა დეტალურად არის გაწერილი სკოლის მიერ დამტკიცებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურაში. **მტკიცებულება:** (დანართი N6 შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის 2023 წლის 14 ივლისის ბრძანება N2-13-23; დანართი N7 შპს ,,აკადემოსის'' შინაგანაწესი; დანართი N 9 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა; დანართი N 11 შრომითი ხელშეკრულება თანამშრომლის; დანართი N13. შპს ,,აკადემოსის დირექტორის 2023 წლის 19 ივლისის ბრძანება **N**2-16-23 **,,**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურის დამტკიცების შესახებ'', დანართი N15. შპს ,,აკადემოსის დირექტორის 2023 წლის 19 ივლისის ბრძანება **N**2-18-23 შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის ,,შპს ,,აკადემოსის'' შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ'' N2-92-21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ").

- ❖ **4.1.1.2 ინდიკატორი (** დაწესებულებას არა აქვს გაზიარებული სასკოლო საზოგადოებისათვის ვებ-გვერდზე სკოლის ძირითადი მოქმედი დოკუმენტაცია და მის მიერ შემუშავებული რეგულაციების პაკეტი). **დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა და შეასრულა სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის შემდეგი აქტივობები:** სკოლამ უზრუნველყო ვებ-გვერდზე სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების განთავსება და მისი საჯაროობა. აიტვირთა შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის, მისია, ხედვა, ღირებულებები, შინაგანაწესი, მშობელთან ურთიერთობის დებულება, საქმისწარმოების წესი, სკოლის დებულება, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა და სხვა დოკუმენტები. განთავსდა არაფორმალური განათლების შესახებ ინფორმაცია ცალკე გამოიყო სკოლაში მიღების საკითხები და სხვა.. **მტკიცებულება:** დანართი N6 შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის 2023 წლის 14 ივლისის ბრძანება N2-13-23; დანართი N 5 ვებ-გვერდის ლინკები www.akademos.ge

- ❖ **4.2.1.1 ინდიკატორი** - (სკოლას არა აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი).

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა და შეასრულა შემდეგი ღონისძიება: დაწესებულებამ შეიმუშავა და დაამტკიცა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი .

**მტკიცებულება:** დანართი N6 შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის 2023 წლის 14 ივლისის ბრძანება N2-13-23; დანართი N10 შპს ,,აკადემოსის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. დანართი N14. შპს ,,აკადემოსის დირექტორის 2023 წლის 19 ივლისის ბრძანება **N**2-17-23 **,,**შპს ,,აკადემოსში'' მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ'';

- ❖ **4.2.3.2 ინდიკატორი** - (დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2018 წლის 16/ნ ბრძანება

"ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე", მუხლი 7 2, 4, თავი V მუხლი 22 -გ) და ვ), თავი VI - მუხლი 34. სკოლამ არ უზრუნველყო სსსმ მოსწავლეზე ისგ გუნდის ფორმირება, არ განახორციელა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობა და არ წარმართა სასწავლო პროცესი მოსწავლის ინდ. საჭიროებებზე გათვალისწინებული სხვა აუცილებელი მექანიზმების ამოქმედებით); **სკოლის შესაბამისობისობის გეგმაში გაიწერა აღნიშნული ინდიკატორის უზრუნველყოფის აქტივობები, ამას დაემატა ახალი გარემოება, რომ აღნიშნული** მოსწავლე, რომელსაც ჰქონდა სსსმ მოსწავლის სტატუსი მობილობის საფუძველზე გადავიდა სხვა სკოლაში - 2023 წლის ივლისის თვეში. სკოლამ ცვლილება შეიტანა საქმისწარმოების წესში, საქმისწაროების წესს დაემატა მუხლი 29 და ,,კ,, პუნქტად განისაზღვრა საქმისმწარმოებლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალდებულება ,,სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზაში (eschool.emis.ge) მოსწავლის დამატების შემდეგ ამოწმებს, ხომ არ აქვს ახალ მოსწავლეს სსსმ მოსწავლის სტატუსი მინიჭებული. რაც შეეხება საქმისმწარმოებელს მასთან პირადი განცხადების საფუძველზე შეწყდა შრომითი ურთიერთობა 2022 წლის 1 ნოემბერს ბრძანება N2-84-22 საფუძველზე, ხოლო დამრიგებელს, რომელმაც ჩაიბარა კლასი მასზე დაკისრებული სამსახურეობრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო, კერძოდ - მოსწავლის პირადი საქმის სრულყოფილად შეუმოწმებლობისთვის, რის გამოც ვერ იქნა აღმოჩენილი სსსმ მოსწავლის სტატუსი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით მიეცა გაფრთხილება. **მტკიცებულება:** დანართი N 2 შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის 2023 წლის 6 ივლისის N1-21 ბრძანება ,,კერძო სკოლა შპს ,,აკადემოსის'' მოსწავლის ამორიცხვის შესახებ'' დანართი N8 შპს ,,აკადემოსის'' საქმისწარმოების ერთიანი წესი, დანართი N3. შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის 2023 წლის 28 ივნისის ბრძანება N2-14-23 შპს ,,აკადემოსის'' დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ''; დანართი N4. დამრიგებლის 2023 წლის 27 ივნისის ახსნა-განმარტების ბარათი; დანართი N12. შპს ,,აკადემოსის დირექტორის 2023 წლის 17 ივლისის ბრძანება N**2-15-23 ,,**შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის ,,შპს ,,აკადემოსის'' საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ'' N2-115-21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება ( III და IV სტანდარტი)

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.3 პროცესის მართვა

**3.3.1 სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

   სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანება N2-109-21, 30/12/2021წ.), რომლის მიზანია განვითარების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, შეფასება და განვითარება. სკოლის შიდა შეფასების პროცესი მოიაზრებს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ხარისის მუდმივი სრულყოფა გულისხმობს სასწავლო და ადმინისტრირების პროცესების გაუმჯობესებას რეგულარული ან მუდმივი შემოწმების გზით, რისთვისაც სკოლის მიერ გამოყენებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნად იყოს მონაცემთა ანალიზი. სკოლის ხარისხის განვითარება ფასდება სკოლის საქმიანობის შედეგის ექვს მნიშვნელოვან ინდიკატორზე დაფუძნებით: 1. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება; 2. არსებული სასწავლო პროგრამების და სადამრიგებლო გეგმების მუდმივი მონტორინგი, განახლება, მოდიფიცირება; 3. პოზიტიური უსაფრთხო საკლასო/სასკოლო გარემო; 4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; 5. კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან. მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების და თემის წევრების სკოლისადმი განწყობების შესწავლა. სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო აქტივობების ხარისხით მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევა; 6. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისობა საკანონმდებლო აქტებთან, განათლების პოლიტიკასთან. სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი აქტების ეფექტიანად დანერგვა/ამოქმედება.

სკოლის ადმინისტრაციის მიერ ამ პროცესების უზრუნველყოფისათვის აწარმოებს მოსწავლეთა შედეგების სტატისტიკას, სწავლობს საგნობრივი, საგნობრივი კათედრების ანგარიშებს, დამრიგებლების ანგარიშებს, სასკოლო საზოგადოების წევრების (მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების) გამოკითხვების ანალიზს. რის შედეგადაც ხდება არსებული პროცესების შეფასება, საჭიროებების იდენტიფიცირება შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. სკოლამ წარმოადგინა მიმდინარე წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, სადაც დაწვრილებით მიმართულებების მიხედვით, ვადების გათვალისწინებით არის გაწერილი შესაბამისი აქტივობები.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დებულების (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2-112-21, 30/12/2021) შესწავლის შედეგად დგინდება , რომ წარმოდგენილი დებულება აწესრიგებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას, მის მართვის პრინციპებსა და წესებს. მართვის პრინციპები უზრუნველყოფს შემდეგს: სკოლის გადაწყვეტილებების, დირექტორის ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; მასწავლებელთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში; მოსწავლეთა მიმართ თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური წარმომავლობისა, სქესის, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა; კონკურსების და სხვადასხვა პროექტების საჯაროობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას; მოსწავლეებისათვის ჯანმრთელი, უსაფრთხო, მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნას. დებულებაში ასევე გაწერილია სკოლის სტრუქტურადირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ დარგში), ადმინისტრაციას (საქმისმწარმოებელი, ფინანსური მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ფსიქოლოგი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, სამეურნეო მენეჯერი, იურისტი) კვების სამსახურს (მზარეული, ჭურჭლის მრეცხავი და ტექნიკურ პერსონალს(დამლაგებელი, უსაფრთხოების თანამშრომელი), სტრუქტურულ ერთეულებს(პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა), მასწავლებლებს), რომელიც წარმართავს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დებულებაში გაწერილია სტრუქტურულ ერთეულებში შემავალი პირების საქმიანობები და ფუნქცია მოვალეობები. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში(დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის ბრძანება N2-66-22) სტრატეგიული მიზნების მიხედვით, დასახული ამოცანების შესასრულებლად გაწერილია აქტივობები (ვადებისა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და პასუხისმგებელი პირების გათვალისწინები), რის საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია და აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

ინდიკატორთან მიმართებით, უნდა ითქვას, რომ შპს აკადემოსში ექსპერტების ვიზიტის პერიოდში სკოლის შინაგანაწესის VII თავში (დასაქმებული წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა) მუხლი 22-ის 11 პუნქტში გაწერილი იყო, რომ დისციპლინური წარმოების შედეგად სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუმცა VIII თავში, რომელიც მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებებს მოიცავდა გასაჩივრების შესახებ ჩანაწერი არ იძებნებოდა. ასევე X თავში - ადმინისტრაციის მშობელთან ურთიერთობა გასაჩივრების შესახებ ჩანაწერი არ იძებნებოდა. თუმცა, დასკვნის პროექტის შემდგომ აღნიშნულმა საგანმანათლებო დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა. სკოლის შინაგანაწესი დაზუსტდა და მუხლ 30-ს დაემატა პუნქტი 9 ,,სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.'', მუხლ 35-ს დაემატა პუნქტი 7 ,,სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.'' ; მუხლ 40-ს დაემატა პუნქტი 5 ,,სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მაკონტროლებელ ორგანოში ან/და სასამართლოში'' და დაემატა პუნქტი 6 ,,სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა დეტალურად არის გაწერილი სკოლის მიერ დამტკიცებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურაში.ამავე თავის მუხლი 35. პუნქტი 6-ის მიხედვით შპს ,,აკადემოსის'' მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად რეგულირდება სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა. მშობელთან ურთიერთობის დებულებაში არის ჩანაწერი გასაჩივრების პროცედურების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით VII თავში „დასაქმებული წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა“ გაწერილია შემდეგი საკითხები: წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; დისციპლინური დევნა; დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები და დისციპლინური წარმოების დაწყება; საქმის გარემოებათა გამოკვლევა; დისციპლინური სახდელის დაკისრება/უარი დისციპლინური სახდელის დაკისრებაზედა დისციპლინური სახდელის შეფარდების დაუშვებლობა; დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა და მოქმედების ვადა.

ხოლო მშობელთან ურთიერთობა რეგულირდება შინაგანაწესის თავი **X.** ადმინისტრაციის მშობელთან ურთიერთობა და მშობელთან ურთიერთობის საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმა( N2-66-22, 01/09/2022);
- სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძანება N2-109-21, 30/12/2021წ.);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. უესუგიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ქობალიძე

- შპს ,,აკადემოსის’’ დირექტორის 2023 წლის 14 ივლისის ბრძანება N2-13-23;
- შპს ,,აკადემოსის'' შინაგანაწესი;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;
- შრომითი ხელშეკრულება თანამშრომლის;
- . შპს ,,აკადემოსის დირექტორის 2023 წლის 19 ივლისის ბრძანება N2-16-23 ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურის დამტკიცების შესახებ’’;
- . შპს ,,აკადემოსის დირექტორის 2023 წლის 19 ივლისის ბრძანება N2-18-23;
- შპს ,,აკადემოსის’’ დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის ,,შპს ,,აკადემოსის’’ შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ’’ N2-92-21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლის შინაგანაწესის, მშობელთან ურთიერთობის დებულების სხვა მიზნებთან ერთად გათვალისწინებულია შემდეგი მიზნები: მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, აქტივობების და სხვა მიმდინარე მოვლენების თაობაზე;მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე. რის შესაბამისადაც შესაბამისად გაწერილია სასკოლო საზოგადოების ინფორმირების წესი. მუხლი 4-ის და 8-ის მიხედვით გაწერილია შემდეგი საკითხები: ვალდებულია ამ დებულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მიაწოდოს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დადგენილი დროისა და პირობების შესაბამისად;

დროულად მიაწოდოს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე; ხელი შეუწყოს მშობელთა აქტიური ჩართულობას და წაახალისოს სასარგებლო ინციატივები; წინასწარ განსაზღვრული კომუნიკაციის ფორმის შესაბამისად ინტენსიურად ეკონტაქტოს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს; სასწავლო წლის დასაწყისშივე მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში სავარაუდო შედეგების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ყუფარაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ჭოლოკავა

მერვე მუხლი. სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში; შვილთან ეფექტური კომუნიკაცია; ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ჯანსაღი ცხოვრების წესი; პერსონალური მონაცემების დაცვა; სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობისამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.

მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება: მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით; Messenger-ის,Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში; ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით; ყოველდღიური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს; ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით; SMS შეტყობინებით; სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა).

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოების, დაინტერესებული პირების ჩართულობა სკოლის მართვის პროცესებში მათი აზრის გათვალისწინება მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის. მოსწავლეთა თვითმმართველობას საშუალება აქვს საკუთარი აზრები ინიციატივების დირექციის წინაშე წარდგენის. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მშობელთა კრებებზე, კითხვარების შევსების დროს ყოველთვის ისმება კითხვა სკოლაში ცვლილებების საჭიროებებისა და ინიციატივების შეავაზების შესახებ. ბოლო მაგალითი და მათ მიერ შეთავაზებული ინიციატივა იყო საკლასო ოთახებში კედლის ფერების შეცვლა უფრო მშვიდ ფერებზერასან დაკავშირებითაც უფროს კლასელების შემთხვევაში მოსწავლეებთან იყო კონსულტაციები, ხოლო დაწყები საფეხურზე გაითვალისწინეს მშობლების სურვილები.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მშობელთან ურთიერთობის დებულება (ბრძანება N2-98-21, 30/12/2021);
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

   სკოლის ტერიტორიაზე და შენობაში დამონტაჟებულია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა, სკოლის ეზო დაკეტილია და ეზოს ტერიტორიაზე შემოსვლა შესაძლებელია მხოლოდ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან ურთიერთობით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ეზოში შემოდის მშობელი ან უცხო პირი, უკვე შენობაში შემოსვლისათვის უნდა მოიპოვოს დამატებითი უფლება, გაიაროს რეგისტრაცია (ვიზიტორთა სარეგისტრაციო ჟურნალი) და მხოლოდ შემდეგ ეძლევა შენობაში გადაადგილების უფლება. საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით სკოლა შემუშავებული აქვს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული შესაბამისი წესი. საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების გაწევისათვის სკოლაში არის დასაქმებული ექიმი (კვალიფიკაციის შესაბამისი), არის ექიმის კაბინეტი კანონმდებლობის შესაბამისი აღჭურვილობით. შენობაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოება. ყოველი დერეფნის ბოლოებში კედელზე დაკიდებულია ცეცხლმაქრები, რომლების გადამუხტვასაც სკოლა ახდენს პერიოდულად. თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.

   <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ჯაჭვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. შონიავა

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და პირობებით; სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფენ დაცვის თანამშრომელი; სასკოლო პროცესის მიმდინარეობისას საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი არის სკოლის დირექცია და დაცვის თანამშრომელი (უფლებამოსილი პირი); უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, სკოლაში გამოკრულია ხანძრის შემთხვევაში ქცევის წესები და ევაკუაციის გეგმა ორივე სართულზე, რომლის შესაბამისადაც, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება. სკოლის შენობაში ორივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულიუფლებამოსილი პირის - დაცვის თანამშრომლის მობილური ტელეფონის ნომერი; საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი; სკოლის ფსიქოლოგის ტელეფონის ნომერი.

გარდა ამისა აღნიშნული ინფორმაცია მოსწავლეებს, მშობლებს მიეწოდება სასწავლო წლის დასაწისში დამრიგებლის საათებზე და მშობელთა კრებებზე.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული წესის მიხედვით: მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის დირექციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოლოგიური დახმარების მიღება შეუძლიათ სკოლის ფსიქოლოგთან; ფსიქოლოგიური დახმარების ფარგლებში ფსიქოლოგი მოსწავლეს, სკოლის დირექციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.

სკოლის ფსიქოლოგი კლასებში პერიოდულად ესწრება გაკვეთილებს, აკვირდება მიმდინარე პროცესებს, აკეთებს შესაბამის ჩანაწერებს, ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებასრის შედეგადაც იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი მოქმედებებისათვის და პრობლემის დაძლევისათვის. ფსიქოლოგთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოსწავლესან ინდივიდუალური გასაუბრება, მშობელთან გასაუბრება, კლასთან აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.

ასევე კლასის დამრიგებლებთან გასაუბრების და მათი სამოქმედო გეგმების შესწავლის შედეგად დგინდება გათვალისწინებული აქვთ ბულინგისა და ძალადობის წინააღმდეგ გათვალისწინებული აქტივობები, მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების გაცნობა, ფილმების ჩვენება და განხილვები მათი მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

მშობლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა ფსიქოლოგთან და კლასის დამრიგებლებთან აქტიური თანამშრომლობა, მათი გულისხმიერება, დირექტორის მოადგილის ზრუნვა მათ შვილების ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის ბრძანებით N2-105-21, 30/12/2021 დამტკიცებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სანიტარული ნორმების დაცვის წესი. რომელშიც მუხლი 5-ში, სკოლის ექიმის ვალდებულებებში, გაწერილია შემდეგი „პერიოდულად მონიტორინგი გაუწიოს კლასში მოსწავლეთა ჰიგიენური მდგომარეობას, დაგეგმოს და გაატაროს პირადი ჰიგიენისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები და აქტივობები". მე-7 მუხლის მიხედვით ექიმის კაბინეტისდალაგება-

დასუფთავება უნდა ხდებოდეს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით. ამავე წესის დანართი 3-ის შესაბამისად გათვალისწინებულია სანიტარული კვანძის დალაგებასთან დაკავშირებული პასუხიმგებლობები, სკოლის სანიტარული კვანძის დასუფთავების წესები, აღრიცხვის ფურცლის წარმოება.

შენობის დავალიერების შედეგად დგინდება, რომ არსებული წესების გათვალისწინებით სკოლაში მიმდინარეობს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. აღჭურვილობა, დასუფთავების საშუალებები შენახულია წესის შესაბამისად, სველ წერტილებში გაკრულია დასუფტავების აღრიცხვის ფურცელი.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლის მიერ შემუშავებულია და ბრძანებით N2-22-24, (14/02/2022), დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. დოკუმენტის მე-4 მუხლში ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი თანამშრომლის, მოსწავლის, ვიზიტორის შესახებ ინფორმაციის დამუშავების პროცედურები. ასევე წესში გათვალისწინებულია დამუშავებული ინფორმაციის მიზნობრიობის საკითხი. პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა სხვადსხვა კონტექსტში: ელექტრონული ჟურნალის წარმოების პროცესში, ZOOM პლატფორმის გამოყენების პროცესში, ვიდეო თვალთვალის განხორციელების პროცესში, შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონების ნომრების გამოყენების, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმის წარმოების პროცესში, ელექტრონული ბაზის წარმოებისას. ასევე გათვალისწინებულია მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილი პირების ფუნქციები მათი საქმიანობის კონტექსტში. მნიშვნელოვანია თვითონ თანამშრომელთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობა ინფორმაციის გავრცელებადაცვაზე არსებული დოკუმენტის შესაბამისად.

არსებული წესის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.

ელექტრონულ ჟურნალზე პასუხისმგებელ პირს აქვს სრული წვდომა ჟურნალზე, თუმცა მასწავლებლებს, მხოლოდ საკუთარ პროფილზე იმ კლასებში რომელსაც ასწავლიან. კლასის დამრიგებლებს საშუალება აქვთ სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების საგნებში მიღწეული შედეგებისა და გაცდენების შესახებ ინფორმაციის ხედვის. ხოლო მშობელი ნახულობს საკუთარი შვილის პროფილს, შედეგებს, გაცდენებს, განმავიათრებელ კომენტარს და მასწავლებლისაგან ან სკოლის ადმინისტრაციისაგან გაგზავნილ წერილს.

მშობლებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მშობელი შვილის სასწავლო შედეგებისა თუ დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაციას ღებულობს პერსონალურად, შეტყობინების, ტელეფონზე გასაუბრების ან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელან პირისპირ გასაუბრების დროს. მშობელთა კრებებზე ხდება კლასის საორგანიზაციო და ზოგადი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

სკოლის შენობაში შესვლის დროს მოხდა სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოება, შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლის მიერ შემუშავებულია და ბრძანებით N2-22-24, (14/02/2022) დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებში გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად ხდება არსებული ინფორმაციის დაცვა. სკოლის ელექტრონულ ჟურნალში შესასვლელად მომხმარებელს (მოსწავლეს, მასწავლებელს) აქვს საკუთარი პაროლი, რომელიც ცნობილია მხოლოდ მფლობელისათვის. სკოლა ჟურნალში წარმოდგენილ ინფორმაციას ამუშავებს და აწვდის დაინტერესებულ პირს წესში გაწერილი პროცედურების შესაბამისად. იგივე მიდგომა არის e-Sschool-ის ბაზასან მიმართებით, წვდომა აქვს სკოლის დირექტორს, ბუღალტერსა და საქმისმწარმოებელს, რაც განსაზღვრულია მათ უფლება-მოვალეობებში. არსებულ მონაცემებს იყენებენ მხოლოდ შესაბამისი ოპერაციის შესრულების პროცესში. პირადი საქმეების წარმოებასა და დაცვაზე პასუხისმგებელი გარდა საქმისმწარმოებლისა არის დამრიგებელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათ მიერ მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის შეტანას.<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესსა და მონიტორინგის მექანიზმებში გაწერილია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის ეტაპები და პასუხისმგებელი პირები: სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. იგი ვალდებულია სისტემატიურად მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირების მიერ მონაცემთა დამუშავებას. მათ შორის მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. ასევე ვალდებულია არანაკლებ კვირაში ერთხელ შეამოწმოს ელექტრონული ჟურნალები, შეტანილი აქვთ თუ არა მასწავლებლებს მოსწავლის მონაცემები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მასწავლებლების მიერ სხვა დამატებით საშუალებებში შეფასებების/დასწრების აღნიშვნა და მოგვიანებით გადატანა. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ტრეინინგებს.

სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრულია უფლემოსილი პირი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს შეხვედრების აღრიცხვა თანამშრომელთა ინფორმირების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების პირობები (ბრძანება N2-97-20, 14/11/2020);
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სანიტარული ნორმების დაცვის  წესი (ბრძანება N2-105-21, 30/12/2021);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესსი და მონიტორინგის მექანიზმები (ბრზანება N2-22-24, 14/02/2022);

- შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

## 4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1 სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;** შპს "აკადემოსში" შემუშავებულია რეგულაციები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას. მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი წესი გაწერილია სკოლის შემდეგ შიდა დოკუმენტებში:

- "შპს აკადემიკოსის შინაგანაწესი" თავი მე-8 - "**თავი VIII. მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი**";
- მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი წესი, ასევე, გაწერილია შპს ,,აკადემოსის'' 2022 წლის 25 ნოემბრის დირექტორის ბრძანებით №2-91-22 დამტკიცებულ " **მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მობილობის წესში**".



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულებას აქვს **"უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი**";
- **ასევე, სკოლას დამტკიცებული აქვს "მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება"** , რომლის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას;
- მოსწავლის რეფერალისთვის საჭირო პროცესები გაწერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ **"ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებულ შიდა ინსტრუქცია-ში"**;
- **სკოლას, ასევე, შემუშავებული აქვს "პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები"**;

- "**ინკლუზიური განათლების პროგრამა**", რომელიც მოიცავს ინკლუზიური განათლების დანერგვის მექანიზმებს, ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან, სწავლის შედეგების დადასტურებასთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს დაკავშირებულს ინკლუზიურ განათლებასთან.
- სკოლა "აკადემოსში" ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "**ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი**", რომლის თანახმად, ყველა რეგისტრირებულ მოსწავლეს შეუძლია წიგნის ან საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენება.
- დაწესებულებაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "**მატერიალური რესურსების გამოყენების წესი**", რომელიც არეგულირებს დაწესებულების თანამშრომლებისა და მოსწავლეების მიერ მატერიალური რესურსების განკარგვის მექანიზმებს.

<u>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, სკოლის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული მოსწავლეთა უფლებების დაცვა და გარანტიები.</u>

**2 მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის პერიოდში შეხვდა მოსწავლეთა მშობლებს. ინტერვიურებისას მშობლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მათ უფლებებსა და ინტერესების დაცვის მექანიზმებს. სკოლას აქვს საკუთარ ვებ. გვერდი: https://akademos.ge/ სკოლის ვებ. გვერდზე ატვირთული და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია ერთადერთი დოკუმენტი „შპს აკადემოსის შინაგანაწესი". ადმინისტრაციამ გასაუბრებისას, აღნიშნა, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული ვებ. გვერდი ახალია და ახლო მომავალში აუცილებლად ატვირთავენ სკოლის სხვა დოკუმენტაციას და შიდა რეგულაციებს. ინდიკატორთან მიმართებით არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ხარვეზის (დაწესებულებას არა აქვს გაზიარებული სასკოლო საზოგადოებისთვის ვებ. გვერდზე სკოლის ძირითადი მოქმედი დოკუმენტაცია და მის მიერ შემუშავებული რეგულაციების პაკეტი. ) გამოსწორების მტკიცებულება, შესაბამისობის გეგმაში გაითვალისწინა გონივრული ვადები. სკოლის ვებ. გვერდზე www.akademos.ge - ზე ატვირთულია შინაგანაწესზე დამატებით:

- სკოლის მისია და ღირებულებები;
- სკოლის სტრუქტურა;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ინსტრუქცია ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;
- სტრატეგიული გეგმა;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება და სხვა..

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3 . **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.** დაწესებულებას ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირდება სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შორის ურთიერთობები. ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს: სკოლა ვალდებულია მისცეს, ხოლო მოსწავლე უფლებამოსილია მიიღოს ხარისხიანი განათლება, რაც ამასთანავე სკოლის მხრიდან მოსწავლისთვის უსაფრთხო და სათანადო მატერიალური რესურსებით სასწავლო გარემოს შექმნასა და აღჭურვას გულისხმობს. სკოლა ვალდებულია გააცნოს მოსწავლის მშობელს სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელი წესი, მოსწავლის შეფასებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული მექნიზმები. მოსწავლე და მისი მშობელი თავის მხრივ, ვალდებულია, დაიცვას სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმები. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ასევე მოსწავლე ადასტურებს, რომ სკოლა აძლევს უფლებას, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დავის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლაში განსაზღვრულია არასრულწლოვანთან და შშმ/ სსსმ მოსწავლეებთან თანამშრომლობის საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა მოსწავლეთა პირადი საქმეები. მათ შორის გადამოწმდა მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებს.
**აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. დაწესებულებასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია მოსწავლის უფლებები და კანონიერი ინტერესები.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- "შპს აკადემიკოსის შინაგანაწესი"

- " მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მობილობის წესი"
- "უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი"
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება"
- "ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებულ შიდა ინსტრუქცია"
- "პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები"
- " ინკლუზიური განათლების პროგრამა",
- "ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი"
- "მატერიალური რესურსების გამოყენების წესი"
- https://akademos.ge/
- ინტერვიუ მოსწავლეთა მშობლებთან;
- ხელშეკრულებები სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან .



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები .** შპს ,,აკადემოსის'' 2022 წლის 25 ნოემბრის დირექტორის ბრძანებით №2-91-22 დამტკიცებულ " მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მობილობის წესში". აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, მოსწავლის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას და მობილობის წესებს. სკოლის რეგულაციები ასევე მოიცავს მოსწავლის სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს მშობლის განცხადება საქართველოს ფარგლებს გარეთ მოსწავლის ოჯახის საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით და სხვა გარემოებები. სკოლის მოსწავლეს აქვს უფლება ისარგებლოს მობილობით და სურვილის შემთხვევაში გადავიდეს სხვა სკოლაში. მობილობის უფლება აქვს როგორც აქტიური სტატუსის მქონე, ისე სტატუსშეჩერებულ პირს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

**2 სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;** სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც მოთავსებულია მშობლის განცხადება, საფეხურის დაძლევის ჩანაწერი და კანონმდებლობის შესაბამისი სხვა დოკუმენტაცია.

შპს "აკადემოსმა" 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ორ პირველ კლასელ მოსწავლეს შეუჩერა სტატუსი. სტატუსის შეჩერება მოხდა სსიპ საგანამანთლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გადამისამართების (სკოლის დირექტორის თ. ჩანტლაძის 2023 წლის 24 თებერვლის №224939 წერილი) და მათი ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკის აქტიური ჩართულობით . სოციალური მუშაკის ჩართულობის შემდგომ ორ მოსწავლეს 45 დღით გამოუცხადებლობის გამო, დროებით შეუჩერდა სტატუსი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

**3 სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლას აქვს ვებ გვერდი: https://akademos.ge/ , სადაც განთავსებულია ინფორმაცია აღნიშნულ დაწესებულებაში განსაზღვრული მომსახურებების სახეების შესახებ. ასევე წარმოდგენილია ცალკე გვერდად ინფორმაცია მომსახურების ღირებულების შესახებ. აღნიშნულ პორტალზე სკოლა "აკადემოსი" სთავაზობს დაინტერესებულ პირებს:

- სწავლებას მოსწავლეზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომით;
- მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების მუდმივი სრულყოფა-განახლებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კონფერენციებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობას;
- ეროვნული ფასეულობებისა და ღირებულებების გაზიარება-შემეცნებაზე მიმართული საგნების სწავლებას;
- გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას;
- კულტურული ღონისძიებებს: თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური ფესტივალები, საზღვრებს გარეთ მოგზაურობებს;
- გახანგრძლივებულ ტრენინგ-ჯგუფებს ორჯერადი კვებით;
- სოციალური დაცვის ფუნქციას - გარემოში არსებული რისკ-ფაქტორების შემცირებას და ოჯახური მდგომარეობით გამოწვეული პრობლემების მოგვარება-დახმარებას;
- უცხო ენების გაძიერებულ სწავლებას (ინგლისური, რუსული, ფრანგული).
- დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

**3. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია შპს "აკადემიკოსთან" მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ყველა ტიპის ინფორმაცია შეთანხმებული, გადამოწმებულია სკოლის დირექციასთან. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- -ინტერვიუ სკოლის დირექციასთან
- -სოციალური ქსელი;
- - სკოლის ვებ. გვერდი
- - წერილი მანდატურის სამსახურს;
- - პასუხი;
- - კლასის დამრიგებლის მოხსენებითი ბარათი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

ექსპერტების ვიზიტისას შპს "აკადემიკოსს" არ ჰქონდა ცალკე გაწერილი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, არც სხვა დოკუმენტაციის რევიზიამ დაგვანახა სურათი, რომ არცერთ რეგულაციაში არ იყო ჩანაწერი მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციასთან დაკავშირებით. თუმცა, ფსიქოლოგმაც და კლასის დამრიგებლებმა ისაუბრეს აღნიშნულ საკითხზე. დასკვნის პროექტში ამ ინდიკატორის ხარვეზად წარდგენის შემდგომ, სკოლამ გაწერა შესაბამისობის გეგმაში აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა და შეასრულა: **სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც უკვე განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.**

**ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, იქნება ეს ტრანზაცია ბაღიდან სკოლაში, თუ სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში ან სხვა სკოლიდან გადმოსული ახალი მოსწავლის შემთხვევაში. ადაპტაციაში დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგალითად - პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი, ეცნობა. საბაზო /საშუალო საფეხურზე მყოფი მოსწავლის პროფესიულ სასწავლებელში ტრანზიციის მიზნით, მოსწავლის შესაძლებლობებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა კოლეჯის და პროფესიული პროგრამების შესახებ. პროფესიულ კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მიჰყავთ გაცნობით ექსკურსიაზე. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

მოსწავლე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე, მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალსაზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფაგრლებში მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. მშობელთა შეხვედრისას, დადგინდა, რომ დაწესებულება მოსწავლეთა კონსულტირებას აქტიურად ახდენს სხვადასხვა საკითხებთან, მათ შორის აკადემიურ მიღწევებთან მიმართებაში. ასევე, დაწესებულება ატარებს სკოლის კმაყოფილების კვლევას, სადაც ჩართულნი არიან სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები. 2022 გამოკითხვის შედეგრები ეხმარება დირექციას უკეთ გამოავლინოს მოსწავლეთა საჭიროებები.
<u>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, მოსწავლე დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.</u>

**4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან ისეთ კომპონენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა სწავლის შედეგების დადასტურებისა და განმეორებითი შემაჯამებელის ჩატარების თარიღების შესახებ.
დაწესებულებას გაწერილი აქვს შეთავაზებული მომსახურებებისა და პროცედურების (სარეგისტრაციო, მობილობის, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გასაჩივრების და ა.შ.) ვადები. დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. სკოლის ადმინისტრაციას, ფსიქოლოგის, დამრიგებლების და მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში საკმაოდ ღია და თბილი გარემოა. მშობელთა მიერ დადასტურდა, რომ "აკადემოსი" მოსწავლეებს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, სკოლა მოსწავლეს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.</u>

**5 სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლაში მოქმედებს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა მიზანია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა დაა სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა. დაწესებულების ბიუჯეტში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდასაჭერად არის გათვალისწინებული გარკვეული თანხა. დამრიგებლებთან და მშობლებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მსგავსი ინიციატივებით მოსწავლეებს მიუმართავთ (მაგ; ექსკურსიები/სასწავლო ექსკურსიები, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ასე შემდეგ). აქტივობების ფართო სპექტრია წარმოდგენილი ვლოგის სახით. მოსწავლეები წახალისებულნი არიან სხვადსხვა სერტიფიკატებით, მედლებით, მადლობის სიგელებით და სხვა.. <u>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

**6 მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

დაწესებულებაში არსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და მოსწავლეთა შეფასების სისტემის მიზანია ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, სკოლაში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანერგვის ხელშეწყობა; ამ მიზნების მისაღწევად აკადემოსი უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების შეფასების სისტემის მუდმივ განვითარებას და მუდმივ გაუმჯობესებას, ამ პროცესში ყველა დაინტერესებული შიდა და გარე მხარის ჩართულობით. 2022 წელს სკოლამ მოამზადა კმაყოფილების კვლევა, რომლის მიზანი იყო არსებული დაწესებულების აშკარა გამოწვევების დადგენა და ანალიზის საფუძველზე რეალური მიზნების დასახვა მათ გამოსასწორებლად. მშობელთა ფოკუს ჯგუფში მშობლებმა აღნიშნეს კვლევის კითხვარის უკუკავშირის დროს დაფიქსირებული პრობლემები: სკოლის მენიუ, კედლების ფერი, სპორტული დარბაზის გასახდელები და სხვა გამოსასწორებელ საკითხები სკოლის დირექციამ უკვე გაითვალისწინა მშობლებისგან მიღებული რეკომენდაციები. **<u>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „შინაგანაწესი“;
- კმაყოფილების კვლევის კითხვარი
- კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.
- შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის 2023 წლის 14 ივლისის ბრძანება N2-13-23;
- შპს ,,აკადემოსის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
- ვებ- გვერდი www. akademos.ge
- შპს ,,აკადემოსის დირექტორის 2023 წლის 19 ივლისის ბრძანება N2-17-23 ,,შპს ,,აკადემოსში’’ მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ’’;

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**
2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**
3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1 კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.** დაწესებულებებისთვის ერთერთი პრიორიტეტული საკითხია პროფორიენტაცია და კარერიული დაგეგმვა, რომლის მიზანია პროფესიების გაცნობა, მოსინჯვა, სწორი, შეგნებული არჩევანის გაკეთება. გადაწყვეტილების მიღება შემდგომი სწავლების საფეხურზე, იქნება ეს პროფესიული სასწავლებელი, თუ უმაღლესი სასწავლებელი. სკოლის მიზანია აღნიშნულთან დაკავშირებით სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების უზრუნველყოფა. პროფორიენტაციის მიზნით დაწესებულება გეგმავს სხვადასხვა ტიპის შეხვედრებს, ისეთი როგორიცაა: ღია კარის დღე, პროფესიულში, უნივერსიტეტებში ვიზიტები, ფორუმი და სხვა, რის საშუალებითაც აბიუტერიენტებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ დაწესებულებაში მიმდინარე საგანამანათლებლო პროგრამებს, გარემოს, სადაც ხორციელდება პროგრამა, დასაქმების შესაძლებლობებს, მიიღონ ინფორმაცია საინტერესო პროფესიების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2 სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯთან და უნივერსიტეტებთან. მათგან მიღებული ინფორმაციებს ღია კარის დღეზე, საზაფხულო სკოლასა, თუ ღია ტიპის ლექციების შესახებ ინფორმაციას მოსწავლეებს და მათ მშობლებს სხვადასხვა საინფორმაციო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არხის გამოყენებით. სკოლა თვითონაც უზრუნველყოფს კარიერულ ზრდაზე მიმართული საინფორმაციო შეხვედრების მოწყობას, ტრენინგების ორგანიზებას,. მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირების მიზნით, ინფორმაციას განათავსებს სოცაიალურ ქსელში, დახურულ ჩატში. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

**3 სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სკოლა რეგულარულად იღებს უკუკავშირს მშობლებისგან და მოსწავლეებისგან, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა უნივერსიტეტების მიერ განხორციელებულ ე.წ. "ღია კარის" დღეებში. უკუკავშირის შედეგების ანალიზის მიხედვით შემდგომ უზიარებს მემორანდუმის საფუძველზე უნივერსიტეტებს შედეგებს, რათა მათ გაითვალისწინონ პოტენციური ბენეფიციარების საჭიროებები და უფრო ეფექტურად დაგეგმონ მომავალში მსგავსი აქტივობები.
დაწესებულება მომავალ სასწავლო წელს გეგმავს უფრო აქტიურ თანამშრომლობას კოლეჯებთან. ასევე, სკოლის ადმინისტრაცია გეგმავს ზაფხულში უზრუნველყოს მშობლებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარება, რომლის მიზანი იქნება პროფორიენტაციის კუთხით სკოლის გაძლიერება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.**
- მემორანდუმები,
- ინტერვიუ მშობლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციის წევრებთან;
-სკოლის სოციალური ქსელი.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

**1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1 სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;** სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით.
სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურს ოთახების მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით და სხვა..
ასევე სკოლას ცალკე აქვს დამტკიცებული "ინკლუზიური განათლების პროგრამა" და "სსსმ მოსწავლის გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა" . <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

**2 სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

<u>შპს აკადემოსში მონიტორინგის განხორციელების საფუძველი იყო შპს აკადემოსის მოსწავლეების მშობლის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც სხვადასხვა პრობლემასთან ერთად ინკლუზიური განათლების განხორციელებაში "შესაძლო" ხარვეზი იკვეთებოდა.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ საკითხის შესახებ მეტი რეალური ინფორმაციის მოკვლევის მიზნით, ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ მოსწავლის დოკუმენტაციას (პირად საქმეს, ფსიქოლოგისა და დამრიგებლის ჩანაწერებს..) , გაესაუბრნენ კლასის დამრიგებელს, სკოლის ფსიქოლოგს, დირექციას და მოსწავლეთა მშობლებს. ზემოთქმულ განცხადებაში მოყვანილ ადრესატს არა აქვს დადგენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი, შესაბამისად სკოლაში არ არის მასზე შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და არც ინკლუზიური განათლების სპეციალისტები არ მუშაობენ მასთან სკოლაში; ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ ფორმა 100-ში სპეციალისტის მიერ გაწერილი შეფასება იდენტურია სკოლის ფსიქოლოგის და კლასის დამრიგებლის შეფასებასთან. აღნიშნული მოსწავლე თავისუფლად მიყვება ეროვნულ სასწავლო გეგმას, არ საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის აკომოდაციას და სასწავლო გარემოს მოდიფიკაციას. სკოლამ დაინახა და აღიარა მისი ძლიერი მხარე. ის არაერთგზის გამარჯვებულია, დაჯილდოვებულია სერტიფიკატებით. სკოლა აღნიშნავს მისი მშობლის ჩართულობას ორივე შვილის სწავლა-აღზდის საქმეში, მათ მოწესრიგებულობას, საშინაო დავალებების სისტემატურ მომზადებას.

ინდიკატორით დაფიქსირებული ხარვეზის მიხედვით (სკოლა არღვევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2018 წლის 16/ნ ბრძანების "*ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე*", მუხლი 7 2, 4, თავი V მუხლი 22 -გ) და ვ), თავი VI - მუხლი 34) შპს აკადემოსს არ ჰქონდა უზრუნველყოფილი სხვა სკოლიდან გადმოსულ იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეზე ისგ გუნდის ფორმირება, არ განახორციელა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობა და არ წარმართა სასწავლო პროცესი მოსწავლის ინდ საჭიროებებზე გათვალისწინებული სხვა აუცილებელი მექანიზმების ამოქმედებით. .

სკოლამ ექსპერტებს წარუდგინა ფსიქოლოგის ჩანაწერები აღნიშნულ მოსწავლეზე და დიაგნოსტიკური ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ვიზიტისას ექსპერტები გაეცნენ მოსწავლეთა პირად საქმეებს, ნამუშევრებს. დამრიგებელთან გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა პორტფოლიოს, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების და ინტერვიუებიდან აღებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია ვთქვათ, რომ აღნიშნული მოსწავლის განათლების უფლება და ბავშვების განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. ექსპერტების "აკადემოსში" ვიზიტისას, Eschool -ის ბაზით დადგინდა, რომ დაწესებულებაში ჰყავთ ერთი სსსმ სტატუსის მოსწავლე (ბაზაში ატვირთულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრის დასკვნა). დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული სსსმ მოსწავლისთვის სკოლის მიერ შესადგენი შესაბამისი დოკუმენტაცია:

- ✓ სსსმ მოსწავლის სკოლის შიდა გუნდის ან სპეციალისტის შეფასება;
- ✓ მასზე წარმოებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სხვადასხვა საგნებში;
- ✓ ისგ გუნდის ბრძანება;
- ✓ ისგ გუნდის მიერ წარმოებული მინიმუმ ოთხი ოქმი და ა.შ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული სსსმ მოსწავლის პირად საქმეში დაფიქსირებული იყო ჩანაწერი, რომ ,,მან პირველი და მეორე კლასი დაასრულა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით”. ზემოთხსებული გარემოებების გათვალისწინებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი იყო შეუსაბამო, თუმცა ინდიკატორთან მიმართებით არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ხარვეზის გამოსწორების აქტივობები, შესაბამისობის გეგმაში გაითვალისწინა გონივრული ვადები. მოსწავლე, რომელსაც ჰქონდა სსსმ მოსწავლის სტატუსი მობილობის საფუძველზე გადავიდა სხვა სკოლაში 2023 წლის ივლისის თვეში. მოსწვალე სკოლაში ჩაირიცხა 2022 წლის 14 ივლისს. სკოლას ახალი აყვანილი ჰყავდა საქმისმწარმოებელი, რომელმაც სამწუხაროდ არ შეამოწმა სრულყოფილად პირადი საქმე, არც ჩარიცხვის შემდეგ შეამოწმა ESCHOOL-ის ბაზაში მოსწავლის სტატუსი. პირად საქმეში არ იდო არც მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა და არც ინდივიდუალური გეგმები, რომლის საფუძველზეც დაძლია მოსწავლემ შესაბამისი კლასები. პირად საქმეში იყო ჩანაწერი, რომ მოსწავლემ აითვისა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალა, რომელიც საქმისმწარმოებელს გამორჩა და არც დამრიგებელმა შეამოწმა პირადი საქმის ჩაბარებისას. სკოლამ გაითავისა არსებული შეუსაბამობა და ცვლილება შეიტანა საქმისწარმოების წესში. წესს დაემატა მუხლი 29 და ,,კ,, პუნქტად განისაზღვრა საქმისმწარმოებლის ვალდებულება ,,სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზაში (eschool.emis.ge) მოსწავლის დამატების შემდეგ შეამოწმოს, ხომ არ აქვს დამატებულ მოსწავლეს სსსმ მოსწავლის სტატუსი მინიჭებული. საქმისმწარმოებელთან პირადი განცხადების საფუძველზე შეწყდა შრომითი ურთიერთობა 2022 წლის 1 ნოემბერს ბრძანება N2-84-22 საფუძველზე, ხოლო დამრიგებელს, რომელმაც ჩაიბარა კლასი მასზე დაკისრებული სამსახურეობრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო, კერძოდ - მოსწავლის პირადი საქმის სრულყოფილად შეუმოწმებლობისთვის, რის გამოც ვერ იქნა აღმოჩენილი სსსმ მოსწავლის სტატუსი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით მიეცა გაფრთხილება.
ვინაიდან არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გათვალისწინებული იქნა ექსპერტების პოზიცია. ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- – ესქულის ბაზა;
- -მულტისციპლინური გუნდის დასკვნა;
- -ინტერვიუები;
- -პირადი საქმე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -ფსიქოლოგის დოკუმენტაცია;
- - კლასის დამრიგებლის პორტფოლიო
- შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის 2023 წლის 6 ივლისის N1-21 ბრძანება ,,კერძო სკოლა შპს ,,აკადემოსის'' მოსწავლის ამორიცხვის შესახებ''
- შპს ,,აკადემოსის'' საქმისწარმოების ერთიანი წესი,
- შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის 2023 წლის 28 ივნისის ბრძანება N2-14-23 შპს ,,აკადემოსის'' დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ'';
- დამრიგებლის 2023 წლის 27 ივნისის ახსნა-განმარტების ბარათი;
- შპს ,,აკადემოსის დირექტორის 2023 წლის 17 ივლისის ბრძანება N**2-15-23** **,,**შპს ,,აკადემოსის'' დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის ,,შპს ,,აკადემოსის'' საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ'' N2-115-21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. შპს "აკადემოსმა" მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში დაწყებით კლასებში მშობლების გამოკითხვისა და მათი განცხადებების საფუძველზე შეადგინა გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფები: დაწყებითი კლასელი მოსწავლეებისათვის. გახანგრძლივებულ ჯგუფში მუშაობენ "რეპეტიტორები" (სკოლის საშტატო ერთეული). სკოლას აქვს მრავალფეროვანი დამატებითი წრეები: ხატვის, მხატვრული ტანვარჯიშის, სიმღერის, ცეკვის, ჭადრაკის, სხვადასხვა სპორტული წრეები და სხვა.. სკოლამ წარმოადგინა დამატებითი წრეების პროგრამა და გახანგრძლივებული ჯგუფის მუშაობის გეგმა.
სკოლაში ასევე ფუნქციონირებს კვების ობიექტი, მოსწავლეებს სკოლის მიერ დამტკიცებული მენიუს მიხედვით მიეწოდებათ სამკომპონენტიანი სადილი . შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. შპს "აკადემოსის" მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეებისათვის შეთავაზებული არასავალდებულო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. აღნიშნული მომსახურეობა ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპების გათვალისწინებით წინასწარი ზეპირი გამოკითხვისა და მშობელთა მომართვიანობის საფუძველზე. სკოლა აპირებს 2023-2024 ახალ სასწავლო წლამდე ჩაატაროს მოსწავლეთა მშობელთა გამოკითხვა, რის საფუძველზეც ჩამოაყალიბებს და დაამტკიცებს დამატებით მომსახურეობებს. ყველა ზემოთჩამოთვლილი გადაწყვეტილებები იქნება გონივრული. დაგეგმვისას აუცილებლად გათვალისწინებული იქნება არსებული სკოლის რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად, სკოლაში ყველა სერვისი და მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **- მშობლებთან ინტერვიუ;**
- **-სოციალური ქსელი;**
- **-ვიზუალური დათვალიერება;**
- **-მენიუ;**
- **- სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **-დამატებითი წრეების პროგრამა;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

**28/07/2023**

.

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: